სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური
პერიოდისათვის

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

სარჩევი

		გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე		1
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის:		
	მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	2
	ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	3
	კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	4
	ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	5
	ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	6
1.	ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ	6
2.	შესაბამისობა	7
3.	წმინდა საპროცენტო შემოსავალი	7
4.	საკომისიო შემოსავალი	7
5.	თანამშრომელთა ხარჯები	8
6.	სხვა საოპერაციო ხარჯები	9
7.	ფული და ფულის ექვივალენტები	9
8.	მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	10
9.	კლიენტებზე გაცემული სესხები	11
10.	ძირითადი საშუალებები	13
11.	არამატერიალური აქტივები	14
12.	სხვა აქტივები	14
13.	ნასესხები სახსრები	15
14.	სავალო ფასიანი ქაღალდები	17
15.	სხვა ვალდებულებები	18
16.	სააქციო კაპიტალი და რეზერვები	18
17.	კაპიტალის მართვა	19

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში "კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 14 სექტემბერს.

არჩილ ბაჟურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 14 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	6 თვე 2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	3	34,204	53,847
საპროცენტო ხარჯი	3	(9,318)	(13,754)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვამდე		**24,886**	**40,093**
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე	9	(3,304)	(3,712)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**21,582**	**36,381**
საკომისიო შემოსავალი	4	1,129	1,719
წმინდა (ზარალი)/მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	8	(6,939)	(3,877)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე		3,886	893
სხვა შემოსავალი		39	30
წმინდა არასაპროცენტო ხარჯები		**(1,885)**	**(1,235)**
საოპერაციო შემოსავალი		**19,697**	**35,146**
თანამშრომელთა ხარჯები	5	(7,699)	(14,157)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10, 11	(1,158)	(1,919)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(4,995)	(9,005)
მოგება მოგების გადასახადამდე		**10,065**	**10,065**
მოგების გადასახადის ხარჯი		(877)	(1,930)
წლის წმინდა მოგება		**4,968**	**8,135**
სხვა სრული შემოსავლები		-	-
სულ სრული შემოსავლები		**4,968**	**8,135**

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 14 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

6-19 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018 წლის 30 ივნისი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	11,385	14,320
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	8	91	1,585
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	253,931	198,045
ძირითადი საშუალებები	10	6,554	5,309
არამატერიალური აქტივები	11	1,394	1,325
გადავადებული საგადასახადო აქტივები		1,954	1,954
სხვა აქტივები	12	4,839	3,615
სულ აქტივები		**280,148**	**226,153**
ვალდებულებები			
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	8	582	591
ნასესხები სახსრები	13	217,309	167,700
სავალო ფასიანი ქაღალდები	14	9,877	9,880
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება		419	297
სხვა ვალდებულებები	15	677	1,369
სულ ვალდებულებები		**228,864**	**179,837**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	3,052	3,052
საემისიო კაპიტალი		12,551	12,551
წილობრივი გადახდის რეზერვი	16	68	68
გაუნაწილებელი მოგება		35,613	30,645
სულ კაპიტალი		**51,284**	**46,316**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**280,148**	**226,153**

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 14 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

6-19 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათასობით ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	წილობრივი გადახდის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	**2,208**	**2,631**	**488**	**16,545**	**21,872**
წლის წმინდა მოგება	-	-	-	8,135	8,135
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	-	-	(1,000)	(1,000)
წილობრივი გადახდის დარიცხვა	-	-	155	-	155
სააქციო კაპიტალის წილობრივი გადახდით გამოწვეული ზრდა	28	421	(449)	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	**3,052**	**12,551**	**68**	**30,645**	**46,316**
პერიოდის წმინდა მოგება	-	-	-	4,968	4,968
2018 წლის 30 ივნისი	**3,052**	**12,551**	**68**	**35,613**	**51,284**

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 14 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

6-19 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	6 თვე 2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადამდე		5,845	10,065
კორექტირებები:			
წმინდა ზარალი/(მოგება) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		6,939	3,877
ცვეთა და ამორტიზაცია	10, 11	1,158	1,919
საპროცენტო შემოსავალი	3	(34,300)	(53,847)
საპროცენტო ხარჯი	3	9,318	13,754
გაუფასურების დანაკარგები საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე	9	3,304	3,712
წმინდა (მოგება)/ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე		(3,886)	(893)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციისგან მიღებული ზარალი		27	37
კაპიტალში გამოქვითული წილობრივი გადახდა		-	155
ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილების განხორციელებამდე		(11,595)	(21,221)
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებები:			
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება		(5,454)	2,786
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა		(56,910)	(56,732)
სხვა აქტივების ზრდა		(1,243)	(1,334)
სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(691)	294
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება		(64,298)	(54,986)
მიღებული პროცენტი		30,960	52,898
გადახდილი პროცენტი		(9,093)	(13,093)
გადახდილი მოგების გადასახადი		(755)	(2,960)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(54,781)	(39,362)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,259)	(2,437)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(248)	(432)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		8	31
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(2,499)	(2,838)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები			
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	13	84,352	118,487
სესხების დაფარვა	13	(29,449)	(81,371)
სავალო ფასიანი ქაღალდის გამოშვებით მიღებული შემოსავლები	14	-	9,871
გადახდილი დივიდენდი	16	-	(1,000)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		54,903	45,987
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		2,377	3,787
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა უცხოურ ვალუტაში არსებული ნაღდი ფულის ბალანსზე		(558)	178
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	7	14,320	10,355
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	7	11,385	14,320

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 14 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

6-19 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 2007 წლის 23 აგვისტოს ფონდი კრისტალის გადაწყვეტილების საფუძველზე (დირექტორთა საბჭოს 2007 წლის 21 აგვისტოს #20 გადაწყვეტილება) 2006 წლის 18 ივლისის "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა #22.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

კომპანიის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც არჩეულნი არიან აქციონერთა საერთო კრების მიერ. კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი.

კომპანიის მიზანია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება საქართველოში და მისი კლიენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მიკრო-სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინივიდუალური ბიზნეს-სესხები, აგრო-სესხები, საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სესხები, კორპორატიული სესხები და სხვ.

საქართველოში კომპანიას აქვს ორმოცი ფილიალი და ოცი სერვის-ცენტრი (ე.წ. „ბუტიკები"). კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქუთაისში.

2018 წლის 30 ივნისისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი აქციონერები:

	2018 წლის 30 ივნისი	**2017 წლის 31 დეკემბერი**
პირველი რიგის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:		
ფონდი კრისტალი	47.52%	47.52%
AGRIF COÖPERATIEF U.A.	37.23%	37.23%
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	12.41%	12.41%
კომპანიის ხელმძღვანელობა	2.84%	2.84%
სულ	**100%**	**100%**

2018 წლის 30 ივნისისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთავარი აქციონერია ფონდი კრისტალი, რომელიც ფლობს აქციების 47.52%-ს.

ფონდი კრისტალი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად: მისი წევრები არ არიან ფონდის მესაკუთრეები და არ სარგებლობენ ეკონომიკური უფლებებით. 2018 წლის 30 ივნისისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდის წევრები და მაკონტროლებელი მხარეები არიან: არჩილ ბაკურაძე, პაატა წოწონავა, ალუ გამახარია, ფრედრიკ რინოლდ ჰაიდ-ჩემბერსი, კის იანგი და ნიკოლოზ გეგეშიძე. წევრებს ფონდ კრისტალში თანაბარი ხმის მიცემის უფლება აქვთ.

2. შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ("ფასს") შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ, ხოლო ინტერპრეტაციები ეკუთვნის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციის კომიტეტს („ფასსიკ").

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") მიხედვით.

3. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	6 თვე 2018	2017
შემოსავლის საპროცენტო განაკვეთის კალკულაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დათვლის მეთოდის გამოყენებით		
კლიენტებზე გაცემული სესხები	34,196	53,743
ფული და ფულის ექვივალენტი	8	104
	34,206	**53,847**
საპროცენტო განაკვეთის დანახარჯები კალკულაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლის მეთოდის გამოყენებით		
ნასესხები სახსრები	(8,735)	(13,745)
სავალო ფასიანი ქაღალდები	(583)	(9)
	(9,318)	**(13,754)**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის შემოსავალი		
	24,886	**40,093**

გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 191 ათას ლარს 2018 წლის 30 ივნისისათვის და 530 ათას ლარს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. საკომისიო შემოსავალი

	6 თვე 2018	2017
საკომისიო შემოსავალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	983	1,449
საკომისიო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	146	270
	1,129	**1,719**

5. თანამშრომელთა ხარჯები

	6 თვე 2018	2017
ხელფასები და სხვა სარგებელი	7,699	13,840
კაპიტალში გაქვითული წილობრივი გადახდა	-	194
ხელმძღვანელობის წამახალისებელ გეგმასთან დაკავშირებული ხარჯები	-	123
	7,699	**14,157**

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა, წილობრივი გადახდები

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის მიზანია მოტივაციის გაზრდა და კომპანიის მენეჯმენტის აღმასრულებელი გუნდის წახალისება კაპიტალის ზრდის სტრატეგიის განსახორციელებლად, კომპანიის ინტერესების შემუშავება და დაცვა, აქციონერების და დაინტერესებული მხარეების ფართო ჯგუფის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ანაზღაურება განისაზღვრება შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით:

ა) კომპანიის მნიშვნელოვანი მიზნები -ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 60%,
ბ) ინდივიდუალური მიზნები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 30%; და
გ) დისკრეციული - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 10%. ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის გასამრჯელო დამოკიდებულია ზემოთ მოცემული მიზნების შესრულებაზე. მთლიანი გასამრჯელო იყოფა ფულად გადახდებად (გასამრჯელოს - 50%) და სააქციო კაპიტალზე დამყარებულ წილობრივ გადახდად (გასამრჯელოს - 50%).

ხელმძღვანელობის წამახალისებელ გეგმაში მოცემული ძირითადი პირობების შესრულება განისაზღვრება შესაბამისი კოეფიციენტების მიღწევით, მაგალითად: სესხების რეზერვის, პორტფელის რისკის, აქტივებზე უკუგების, კაპიტალზე უკუგებისა და სხვა კოეფიციენტების შესრულებით.

მენეჯმენტის შეფასებებით, 2017 წლის შედეგებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობის მიერ გეგმა იქნა შესრულებელი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წილობრივი გადახდების რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 68 ათასი ლარი.

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის შესრულების შემოწმებისა და შესაბამისი ანაზღაურების გაცემის პერიოდულობა სრული წელია. შესაბამისად, 2018 წლის შედეგები შეფასდება წლის დასრულების შემდეგ.

წილობრივი გადახდის ტრანზაქციის აღიარება ხდება, როგორც წილობრივი გადახდის რეზერვის ზრდა კაპიტალში.

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

	6 თვე 2018	2017
საოპერაციო იჯარა	1,762	3,239
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	489	962
საბანკო ხარჯები	329	673
საყოფაცხოვრებო და საოფისე მოწყობილობები	247	433
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	245	455
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	234	492
მივლინების ხარჯები	225	308
წევრობის საფასური	221	363
დაზღვევა	216	71
საწვავი	208	343
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	110	161
უსაფრთხოება	82	149
კადრების მომზადება და გადამზადება	58	166
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	46	107
ქველმოქმედება	42	119
ზარალი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან	27	37
სხვა	454	927
	4,995	**9,005**

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
ნაღდი ფული	10,209	9,816
საბანკო ნაშთები	1,176	4,504
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**11,385**	**14,320**

არცერთი საბანკო ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. მოკლევადიანი ხასიათის გამო საბანკო ნაშთებისთვის რეზერვი არ არის აღიარებული. საბანკო ნაშთები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებს საქართველოში და გამოიყენება კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

2018 წლის 30 ივნისისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბანკო ნაშთების უდიდესი ნაწილი განთავსებულია ბანკებში, რომელთაც Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებული აქვთ B (მოკლევადიანი რეიტინგი) და BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) რეიტინგები.

8. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები		
წარმოებული ფინანსური აქტივები		
უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები	36	1,410
ვალუტის გაცვლის კონტრაქტები	55	175
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	**91**	**1,585**

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		
უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები	153	55
ვალუტის გაცვლის კონტრაქტები	429	536
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	**582**	**591**
წმინდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	**(491)**	**994**

რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს სავალუტო კონტრაქტებს.

ვალუტის გაცვლის კონტრაქტები

კომპანია განიხილავს დეპოზიტით უზრუნველყოფილ სესხებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, იქიდან გამომდინარე, რომ ტრანზაქციები (დეპოზიტის განთავსება და სესხის აღება) გამოიწვევს დერივაციას. დასკვნა ეფუძნება შემდეგ ინდიკატორებს:

- ისინი შედიან ძალაში ერთდროულად და ერთმანეთის მიყოლებით;
- ისინი რეგულირდება ერთი და იმავე კონტრაქტის მიხედვით;
- აქვთ ერთნაირი რისკი;
- არ არსებობს აშკარა ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურიზაციისთვის, რომელიც ვერ განხორციელდება ერთ გარიგებაში;
- არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე;

უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები

ფორვარდი არის საკონტრაქტო შეთანხმება ორ მხარეს შორის, რომელთა შორისაც უნდა მოხდეს გარკვეული დროის განმავლობაში ფინანსური სახსრების გადახდები გარკვეული ოდენობით.

უცხოური ვალუტის ფორვარდულ ოპერაციებში კომპანია იხდის თანხის გარკვეულ ოდენობას ერთ ვალუტაზე და იღებს გარკვეულ ოდენობას მეორე ვალუტაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აღწერს არადისკონტირებულ საკონტრაქტო თანხებს 2018 წლის 30 ივნისისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. უცხოური ვალუტის თანხების გადაფასება, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი ხდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. იმ ხელშეკრულებებზე მიღებული მოგება და ზარალი, რომელთა ვადაც არ იყო დასრულებული, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და ფინანსურ ინტრუმენტებზე მოგება-ზარალში.

	ეროვნული ვალუტა	
	ივნისი 30, 2018	**დეკემბერი 31, 2017**
აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	35,851	32,837
3-დან 12 თვემდე	82,118	42,253
	117,969	**75,090**

9. კლიენტებზე გაცემული სესხები

	ივნისი 30, 2018	**დეკემბერი 31, 2017**
ძირი თანხა	253,671	199,467
დარიცხული პროცენტი	7,309	3,969
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	(7,049)	(5,391)
წმინდა გაცემული სესხები	**253,931**	**198,045**
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები		
სექტორის ანალიზი:		
სოფლის მეურნეობა	85,710	60,970
მომსახურება	67,496	55,885
ვაჭრობა	40,707	34,562
სამომხმარებლო	44,993	33,730
სალომბარდე	12,846	10,085
წარმოება	9,228	8,204
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**260,980**	**203,436**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	(7,049)	(5,391)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	**253,931**	**198,045**

კლიენტებზე გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. კლიენტებზე გაცემული სესხები კლასიფიცირებულია ფაქტორების კომბინაციის მიხედვით (ძირითადად სესხის ამღების შემოსავლის წყარო და სესხის მიზანი). ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების მიერ სამომხმარებლო მიზნებისათვის მიღებული სესხები წარმოდგენილია შესაბამის კატეგორიებში (ვაჭრობა, მომსახურება და სოფლის მეურნეობა) ბიზნეს საქმიანობის ტიპების მიხედვით.

მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	საბალანსო ღირებულება
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:			
სოფლის მეურნეობა	85,710	(2,672)	83,038
მომსახურება	67,496	(1,632)	65,964
ვაჭრობა	40,707	(1,359)	39,348
სამომხმარებლო	44,993	(975)	44,108
სალომბარდე	12,846	(56)	12,790
წარმოება	9,228	(355)	8,873
სულ საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები	**260,980**	**(7,049)**	**253,931**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	საბალანსო ღირებულება
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:			
სოფლის მეურნეობა	60,970	(2,284)	58,686
მომსახურება	55,885	(1,232)	54,653
ვაჭრობა	34,562	(951)	33,611
სამომხმარებლო	33,730	(679)	33,051
სალომბარდე	10,085	(44)	10,041
წარმოება	8,204	(201)	8,003
სულ საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:	**203,436**	**(5,391)**	**198,045**

სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულებისა და სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	6 თვე 2018		**2017**	
	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები
ბალანსი პერიოდის დასაწყისში	203,436	(5,391)	149,016	(3,506)
ახალი გაცემული სესხები / ხარჯი პერიოდის მანძილზე	60,338	(3,304)	57,672	(3,712)
პერიოდის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(2,143)	2,143	(2,725)	2,725
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	409	(409)	907	(907)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	(1,060)	(88)	(1,434)	9
ბალანსი პერიოდის ბოლოს	**260,980**	**(7,049)**	**203,436**	**(5,391)**

10. ძირითადი საშუალებები

	შენობები	მანქანები	ავეჯი	კომპიუტერული აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სხვა	სულ
ღირებულება							
2018 წლის 1 იანვარი	105	650	848	2,072	4,491	2,924	11,090
შესყიდვა	-	572	90	582	583	432	2,259
რეალიზაცია	-	(38)	-	-	(166)	-	(204)
2018 წლის 30 ივნისი	**105**	**1,184**	**938**	**2,654**	**4,908**	**3,356**	**13,145**
დაგროვილი ცვეთა							
2018 წლის 1 იანვარი	(35)	(192)	(482)	(1,119)	(2,190)	(1,763)	(5,781)
ცვეთის დარიცხვა	(2)	(88)	(70)	(159)	(410)	(250)	(979)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	21	-	-	148	-	169
2018 წლის 30 ივნისი	**(37)**	**(259)**	**(552)**	**(1,278)**	**(2,452)**	**(2,013)**	**(6,591)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 30 ივნისი	**68**	**925**	**386**	**1,376**	**2,456**	**1,343**	**6,554**

	შენობები	მანქანები	ავეჯი	კომპიუტერული აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სხვა	სულ
ღირებულება							
2017 წლის 1 იანვარი	105	349	652	1,628	3,725	2,406	8,865
შესყიდვა	-	338	196	469	913	521	2,437
რეალიზაცია	-	(37)	-	(25)	(147)	(3)	(212)
2017 წლის 31 დეკემბერი	**105**	**650**	**848**	**2,072**	**4,491**	**2,924**	**11,090**
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის 1 იანვარი	(32)	(98)	(361)	(892)	(1,577)	(1,343)	(4,303)
ცვეთის დარიცხვა	(3)	(101)	(121)	(247)	(728)	(422)	(1,622)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	7	-	20	115	2	144
2017 წლის 31 დეკემბერი	**(35)**	**(192)**	**(482)**	**(1,119)**	**(2,190)**	**(1,763)**	**(5,781)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბერი	**70**	**458**	**366**	**953**	**2,301**	**1,161**	**5,309**

სხვა ძირითადი საშუალებები მეტწილად შედგება უსაფრთხოების სისტემებისა და გენერატორებისგან.

2018 წლის 30 ივნისისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია კაპიტალიზირებული სესხის ხარჯები შესყიდულ ან აშენებულ ქონებაზე.

11. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
ღირებულება	
2017 წლის 1 იანვარი	**1,938**
შესყიდვა	432
2017 წლის 31 დეკემბერი	**2,370**
შესყიდვა	248
2018 წლის 30 ივნისი	**2,618**
დაგროვილი ამორტიზაცია	
2017 წლის 1 იანვარი	**(748)**
ამორტიზაციის დარიცხვა	(297)
2017 წლის 31 დეკემბერი	**(1,045)**
ამორტიზაციის დარიცხვა	(179)
2018 წლის 30 ივნისი	**(1,224)**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2017 წლის 31 დეკემბერი	**1,325**
2018 წლის 30 ივნისი	**1,394**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

12. სხვა აქტივები

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა მოთხოვნები	2,681	1,470
მოთხოვნები თანამშრომლებისგან	60	-
სხვა ფინანსური აქტივები სულ	**2,741**	**1,470**
დასაკუთრებული ქონება	650	643
წინასწარი გადახდები	1,448	1,502
სხვა არაფინანსური აქტივები სულ	**2,098**	**2,145**
სხვა აქტივები სულ	**4,839**	**3,615**

სხვა მოთხოვნების მოკლევადიანი ხასიათის გამო, კომპანიას არ აქვს აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 წლის 30 ივნისისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა დებიტორული დავალიანება მოიცავს სწრაფი გადახდის აპარატების კომპანიებისგან მოთხოვნას, რომელიც დაფარულ იქნა ანგარიშგების თარიღის შემდეგ მოკლე ვადაში.

13. ნასესხები სახსრები

ეს შენიშვნა წარადგენს ინფორმაციას სესხების შესახებ, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით.

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	212,722	163,346
სუბორდინირებული სესხი	4,587	4,354
	217,309	**167,700**

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
ძირი თანხა	214,074	164,693
დარიცხული პროცენტი	3,235	3,007
	217,309	**167,700**

კომპანიის ნასესხები სახსრების მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციაა:

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	144,304	83,736
მიმდინარე ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	72,005	83,964
ნასესხები სახსრები სრულად	**217,309**	**167,700**

სუბორდინირებული სესხი

2018 წლის 30 ივნისისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა არა-უზრუნველყოფილ სუბორდინირებულ სესხს, რომელიც მიღებულ იქნა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია „KfW“-სგან, რომლის ვადაც იწურება 2019 წელს და შეადგენს 4,587 ათას ლარს და 4,354 ათას ლარს შესაბამისად, 11% -იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით.

გაკოტრების შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხების დაფარვა მოხდება კომპანიის სხვა ვალდებულებების სრული დაფარვის შემდეგ.

ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები

ნასესხები სახსრების ვადები და პირობებია:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	მოქმედების ვადა	ივნისი 30, 2018 საბალანსო ღირებულება	დეკემბერი 31, 2017 საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	USD	5.77% - 9.41%	2018 – 2023	130,801	102,568
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	GEL	9% - 14.75%	2018 – 2024	81,279	59,409
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	EUR	5%-8%	2018 – 2022	642	1,369
არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული დავალიანება	GEL	11%	2019	4,587	4,354
საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები სულ				**217,309**	**167,700**

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ცვლილებები 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში:

	იანვარი 1, 2018	სესხების მიღება	სესხების დაფარვა	დარიცხული პროცენტი	გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	ივნისი 30, 2018
ნასესხები სახსრები	167,700	84,352	(29,449)	8,735	(8,507)	(5,522)	**217,309**

სახელშეკრულებო პირობები - ფინანსური კოვენანტები

კომპანია ვალდებულია შეასრულოს ფინანსური კოვენანტები ზემოთ ჩამოთვლილი სესხებისთვის. ეს კოვენანტები მოიცავს განსაზღვრულ კოეფიციენტებს, ასევე ლიკვიდურობის, მომგებიანობისა და რისკის დაფარვის კოეფიციენტებს.

კომპანიას არ დაურღვევია ფინანსური კოვენანტები 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

2017 წლის 31 დეკემბერს, კომპანიამ ვერ შეასრულა ფინანსური კოვენანტები, რომლებიც დაწესებული ჰქონდა ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიას.

ბასს 1-ზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს „ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაციას“, მენეჯმენტმა ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიისგან ნასესხებ სახსრებს 24,445,842 ლარის ოდენობით მიანიჭა მიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია.

აღნიშნული ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

14. სავალო ფასიანი ქაღალდები

ეს შენიშვნა ითვალისწინებს ინფორმაციას სავალო ფასიანი ქაღალდების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით.

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
ძირი თანხა	9,871	9,871
დარიცხული პროცენტი	6	9
	9,877	**9,880**

სავალო ფასიანი ქაღალდების მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციაა:

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სავალო ფასიანი ქაღალდები	9,871	9,871
მიმდინარე ვალდებულებები		
სავალო ფასიანი ქაღალდები	6	9
სულ სავალო ფასიანი ქაღალდები	**9,877**	**9,880**

კორპორატიული ობლიგაცია

სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს კორპორატიულ ობლიგაციას. 2017 წლის 28 დეკემბერს კომპანიამ გამოუშვა კორპორატიული ობლიგაციები 10 მილიონი ლარის ღირებულებით. აღნიშნული ობლიგაციების ვადა იწურება 2019 წელს. ობლიგაციების წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4.5%.

ვადები და ვალის დაფარვა

ვალის დაფარვის პირობები:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვადის გასვლის წელი	ივნისი 30, 2018 საბალანსო ღირებულება	დეკემბერი 31, 2017 საბალანსო ღირებულება
სავალო ფასიანი ქაღალდები	GEL	4.5%+სებ რეფინანსირ ების საპრ. განაკვ.	2019	9,877	9,880
სულ სავალო ფასიანი ქაღალდები				**9,877**	**9,880**

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ცვლილებები 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში:

	იანვარი 1, 2018	სესხების მიღება	სესხების დაფარვა	დარიცხული პროცენტი	გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	ივნისი 30, 2018
სავალო ფასიანი ქაღალდები	9,880	-	-	583	(586)	-	**9,877**

კორპორატიული ობლიგაციების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

15. სხვა ვალდებულებები

	ივნისი 30, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა ვალდებულებები	560	476
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	**560**	**476**
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	58	847
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	-	11
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	59	35
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	**117**	**893**
სხვა ვალდებულებები სულ	**677**	**1,369**

16. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

მეწილეები	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი / არა-გამოსყიდვავდი პრივილეგირებული აქციები	წილი %	ხმის მიცემის უფლება	კაპიტალი ლარი
ფონდი კრისტალი	1,450,192	ჩვეულებრივი	47.52%	47.52%	1,450,192
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,136,157	ჩვეულებრივი	37.23%	37.23%	1,136,157
DWM ფონდები ს.ს.ა.-SICAV SIF	378,157	ჩვეულებრივი	12.41%	12.41%	378,719
კომპანიის მართვა	86,817	ჩვეულებრივი	2.84%	2.84%	86,817
	3,051,885		**100.00%**	**100.00%**	**3,051,885**

წილობრივი კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მეწილეები	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი / არა-გამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციები	წილი %	ხმის მიცემის უფლება	კაპიტალი ლარი
ფონდი კრისტალი	1,450,192	ჩვეულებრივი	47.52%	47.52%	1,450,192
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,136,157	ჩვეულებრივი	37.23%	37.23%	1,136,157
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	378,157	ჩვეულებრივი	12.41%	12.41%	378,719
კომპანიის მართვა	86,817	ჩვეულებრივი	2.84%	2.84%	86,817
	3,051,885		**100.00%**	**100.00%**	**3,051,885**

თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი და სრულად არის გადახდილი.

ყველა ჩვეულებრივი აქცია თანაბრად კლასიფიცირდება კომპანიის ნარჩენი აქტივების მიმართ.

დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო მიიღონ დივიდენდები და უფლებამოსილნი არიან, ყოველწლიურად კომპანიის აქციონერთა კრებაზე მიიღონ ერთ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, როგორც ეს აღწერილია ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

აქციონერთა მიერ მიღებული, 2017 წლის 20 ივნისით დათარიღებული გადაწყვეტილებით, 2017 წელს გამოცხადდა და გადახდილი იქნა 1,000 ათასი ლარი.

17. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნების მიმართულებით არის:

- შეუნარჩუნოს კომპანიას უნარი გააგრძელოს აქციონერთათვის ფინანსური სახსრების მიღება; და
- აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური ფინანსური სახსრების მიღებით, მომსახურების ღირებულების დადგენის რისკის დონის შესაბამისად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის ოდენობას რისკის პროპორციულად. კომპანია ახდენს კაპიტალის სტრუქტურის მენეჯმენტს და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური ცვლილებების და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ მოხდეს კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნება ან რეგულირება, კომპანიას შეუძლია შეცვალოს დივიდენდების რაოდენობა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი აქციონერებისთვის, ასევე კაპიტალის დაბრუნება აქციონერებისთვის, განახორციელოს ახალი აქციების გაცემა ან გაყიდოს აქტივები, დავალიანების შემცირების მიზნით.

კომპანია შეესაბამება მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს, რაც 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენდა 250 ათარ ლარს, ხოლო ამ ანგარიშის ხელმოწერის თარიღისათვის 1 მილიონი ლარია, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების თანახმად.

კომპანია ასევე აკონტროლებს კაპიტალის ადეკვატურობის დონეს ვალის შესაბამისად, ახდენს კალკულაციას კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად.